ყველაზე სწრაფი და ყველაზე ნელი

რეკორდი განსაკუთრებულ მიღწევას ნიშნავს. ასეთი მიღწევა შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, მაგალითად, ხტომაში, სირბილში, ყველაზე გრძელი ხიდის აგებაში, ნიჭიერი რობოტის შექმნაში და ასე შემდეგ... გაიხსენე რომელიმე რეკორდსმენი.

იცი, რა არის „გინესის რეკორდების წიგნი“? მასში შეტანილია ყველა ფაქტი, რომლებიც რეკორდად აღიარეს. წიგნი 1955 წლიდან გამოდის. ყოველი მომდევნო წიგნი ახალი ცნობებით ივსება. იქ წერია, ვინ არის ყველაზე ძლიერი. რა არის ყველაზე მაღალი ან ყველაზე პატარა და ასე შემდეგ. წიგნში ცხოველთა შესახებაც ნახავ ინფორმაციას. მაგალითად, ძუძუმწოვრებიდან ყველაზე სწრაფი ცხოველი ავაზა ყოფილა. იგი საათში 100 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს. ამაში ხელს უწყობს ნახევრად მოძრავი **ბრჭყალები**. მათი საშუალებით ავაზა უკეთ ეჭიდება მიწას. მისი კუდიც **ერთგვარი** საჭეა. სირბილის დროს ის უცებ მოხვევაში ეხმარება. ფართო ნესტოებით კი ავაზა ბევრ ჟანგბადს შეისუნთქავს. თუმცა მალე იღლება.

შავარდენი კი არის უსწრაფესი მტაცებელი ფრინველი. ამბობენ, როცა მსხვერპლს ხედავს, ჯერ ცაში აფრინდება. შემდეგ ფრთებს კეცავს და **მოწყვეტით** ეშვება ძირს, რათა სწრაფად დაიჭიროს იგი. ამ დროს მისი სიჩქარე 322 კმ/სთ-ია.

ყველაზე სწრაფი თევზი ცისფერი მარლინია. თურმე მან 3 წამში 91 მეტრი გაცურა. ეს საათში 109 კილომეტრს უდრის.

ხმელეთზე ყველაზე ნელი არსება არის ლოკოკინა. ამ მოლუსკის სიჩქარე საათში 47 მ-ია. ცხოველებს შორის კი ყველაზე ნელია სამთითა ზარმაცა. წუთში ის სულ რაღაც 2 მეტრს გადის. ძირითადად ხეზე ცხოვრობს. ხშირად საათობით არ ინძრევა.

თუ გინდა, კიდევ ბევრი საინტერესო რამ გაიგო, გაეცანი „გინესის რეკორდების წიგნს“.



კომპონენტი: კატეგორიზაცია, **დონე:** 3.2

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ხმელეთზე ყველაზე სწრაფ ცხოველად ავაზა ითვლება, რადგან:

ა) გრძელი კუდი მას მკვეთრ მოძრაობაში ეხმარება.

ბ) იგი საათში 100 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს.

გ) მას ნახევრად მოძრავი ბრჭყალები აქვს.

2 ტექსტის მონაცემების მიხედვით, რომელია უფრო სწრაფი არსება?

ა) ავაზა.

ბ) მარლინი.

გ) შავარდენი.

3 სამთითა ზარმაცა მიეკუთვნება:

ა) თევზების კატეგორიას.

ბ) მოლუსკების კატეგორიას.

გ) ცხოველების კატეგორიას.

4 რა არის ცისფერი მარლინი?

ა) სწრაფი თევზი.

ბ) სწრაფი ფრინველი.

გ) სწრაფი ძუძუმწოვარი.

5 ტექსტში ჩანს, <u>როდის</u> და <u>რა</u> <u>მიზნით</u> ავითარებს განსაკუთრებულ სიჩქარეს:

ა) ავაზა.

ბ) მარლინი.

გ) შავარდენი.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ავაზას კუდიც **ერთგვარი** საჭეა.

   ა) თავისებური. ბ) მოხერხებული. გ) ძლიერი.

2. შავარდენი **მოწყვეტით** ეშვება ძირს.

   ა) ნავარდით. ბ) უცბად. გ) უცნაურად.

2 ტექსტის მიხედვით გაარკვიე და დაწერე, რომელი სიტყვის განმარტებაა?

მტაცებელი ცხოველის ან ფრინველის კაუჭა და წვერბასრ ფრჩხილს ჰქვია

---.

3 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) ივსება – იცლება. ბ) ჩაეჭიდება – ჩაავლებს. გ) ცხოვრობს – ბინადრობს.

4 ხაზებით დააკავშირე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები).

მომდევნო	ჩქარი
ძლიერი	განიერი
ფართო	ღონიერი
სწრაფი	შემდეგი

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ყველაზე ძლიერი – უძლიერესი.

1. ყველაზე სწრაფი – ---------- . 2. ყველაზე მაღალი – ---------- .

2 რომელია შეცდომა?

ა) ახალი ფაქტები. ბ) საინტერესო ფაქტები. გ) ყველა ფაქტები.

გრამატიკა

3 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ავაზას აქვს მოძრავი ბრჭყალები, ---------- საშუალებით მიწას ეჭიდება.
(რომელთა / რომლის)

2. წიგნში შეტანილია ყველა ფაქტი, ---------- რეკორდად არის მიჩნეული.
(რომლებიც / რომელიც)

წერა

1 ტექსტის მიხედვით შეავსე სქემა.

	რა არის?	რა სიჩქარით შეუძლია მოძრაობა?
ავაზა	მტაცებელია, ძუძუმწოვარია...	100 კმ/სთ.
შავარდენი		
ლოკოკინა		
მარლინი		
სამთითა		

2 წარმოიდგინე, რომ გადაწყვიტე გვაჩვენო შენი განსაკუთრებული უნარი.

დაწერე, შენი აზრით, რით შეგიძლია გააკვირვო ყველა. შენი ნამუშევარი გააფორმე ნახ-ატით.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____